ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ინგლისური ენის კათედრის (ინგლისური ენა) ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 15 იანვრის N4/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 7 თებერვლის N10/2024 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი **"29" თებერვალი**

2024 წ.

16:00, თსუ V კორპუსი, აუდიტორია № 227

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 5 წევრი:

1. პროფ. მანანა რუსიეშვილი (კომისიის თავმჯდომარე)
2. ასოც. პროფ. რუსუდან დოლიძე (თავმჯდომარის მოადგილე)
3. ასოც. პროფ. ირინა გველესიანი (კომისიის მდივანი)
4. ასოც. პროფ. ნათელა ნემსაძე
5. ასოც. პროფ. მაია დარასელია (სოხუმის უნივერსიტეტი)

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, პროფ. მანანა რუსიეშვილის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კერძოდ, 27 თებერვალს, 2024 კომისიას გადმოეცა საკონკურსო დოკუმენტაცია მიმღები აპარატისგან (კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით) დალუქული სახით. საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნის შემდგომ, კომისიის წევრები შეუდგენენ კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობას (ოქმი №1). საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვის შედეგებზე დაყრდნობით, კომისიამ შეფასების პირველი ეტაპის შედეგი შეაჯამა და, კენჭისყრის შედეგებიდან გამომდინარე, კონკურსანტებს მიენიჭათ პრეტენდენტების სტატუსი და დაშვებულ იქნენ შეფასების მე-2 ეტაპზე (გასაუბრებაზე) (ოქმი № 2). კომისიამ ასევე ჩაატარა შეფასების მეორე ეტაპი (გასაუბრება), რომელიც ასახულია ოქმში № 3. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის **სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ პროფესორის** 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 2 კანდიდატმა - **მარიამ ქებურიამ** და **მარი ხუხუნაიშვილმა.**

მარიამ ქებურიამ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება (კონკურსანტს აქვს ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული კურსების წაკითხვის გამოცდილება) ; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) **მარიამ ქებურიამ** მიიღო მაღალი შეფასება (კონკურსანტს მოპოვებული აქვს რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული 2 გრანტი, გამოქვეყნებული აქვს 7 სამეცნიერო ნაშრომი (აქედან 4 -

იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში), მონაწილეობა აქვს მიღებული 3 კონფერენციაში (აქედან 2 ადგილობრივ კონფერენციაში)); IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) **მარიამ ქებურიამ** მიიღო მაღალი შეფასება (კონკურსანტი არის სხვადასხვა საერთაშორისო პროექტის საკონტაქტო პირი საქართველოში, უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას ლექსიკოგრაფიულ სამუშაოებში (იატეს პროექტის ფარგლებში) (იხ. ოქმი №2).

მარი ხუხუნაიშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო დაბალი შეფასება (კონკურსანტი არის თსუ ენების ცენტრის მასწავლებელი და აქვს მხოლოდ პრაქტიკული კურსების წაკითხვის გამოცდილება, არ უსწავლებია თსუ ინგლისური ფილოლოგიის არცერთი საფეხურის სტუდენტებისთვის არც პრაქტიკული არც თეორიული კურსები. ამის გამო, კომისიამ მიიჩნია, რომ მარი ხუხუნაიშვილის მიერ წარმოდგენილ ანკეტაში ეს პუნქტი არ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს); III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო სამუალო შეფასება (კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს 3 სამეცნიერო ნაშრომი (აქედან 2 - იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში)), მონაწილეობა აქვს მიღებული 3 კონფერენციაში (აქედან 2 ადგილობრივ კონფერენციაში); IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) მიიღო სამუალო შეფასება (კონკურსანტს აქვს კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა. კომისიამ პრობლემურად მიიჩნია, რომ მეორე კონკურსანტთან შედარებით, მარი ხუხუნაიშვილს არ აქვს ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილება) (იხ. ოქმი №2).

შეფასების პირველი ეტაპის შედეგების საფუძველზე, ორივე კონკურსანტი დაშვებულ იქნა გასაუბრებაზე (მეორე ეტაპზე), რომელიც ჩატარდა თსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებული გრაფიკის მიხედვით.

გასაუბრებისას, **მარიამ ქებურიამ**, საუნივერსიტეტო ცხოვრების სპეციფიკიდან გამომდინარე, ისაუბრა თავისი სამეცნიერო ინტერესების სფეროზე და მომავალ გეგმებზე. კომისიის წევრებმა კითხვები დაუსვეს კონკურსანტს და მოისმინეს ვრცელი

და დამაჯერებელი პასუხები, რომლებიც ეხებოდა მის მიერ მოპოვებული შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტის ფარგლებში მიმდინარე კვლევას, ასევე, კონკურსანტის ჩართულობას შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 3-წლიან გრანტში ფუნდამენტურ მეცნიერებებში. **მარიამ ქებურიამ** ისაუბრა დასახელებული პროექტების ფარგლებში განხორციელებულ კვლევებსა და მომავალ პერსპექტივებზე. ამასთანავე, მიმოიხილა მისი ხელმძღვანელობით სტუდენტთა აქტიური ჩართულობა კათედრაზე მიმდინარე ლექსიკოგრაფიულ სამუშაოებში ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად და მისი, როგორც სტუდენტთა ხელმძღვანელის, როლზე თემატური ტერმინოლოგიის შედგენა-შემუშავებაში (იატეს პროექტის ფარგლებში). კონკურსანტმა ისაუბრა სტუდენტთა სტატიების ხელმძღვანელობაზე და ახალი სტუდენტური ჟურნალის შექმნაზე. აღნიშნა, რომ არის სტუდენტური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. **მარიამ ქებურიამ** მიმოიხილა მისი, როგორც ლექტორის, თოთხმეტწლიანი ჩართულობა ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. განსაკუთრებით გამოყო თეორიული კურსების („ინგლისური ენის ვარიანტები", „ინგლისური ენის ლექსიკოგრაფიის საფუძვლები" და სხვა) სწავლების სპეციფიკა; აღნიშნა, რომ მან გადაახალისა „ინგლისური ენის ვარიანტების" სილაბუსი და შექმნა სილაბუსი საგანში „შემოქმედებითი წერა და კომუნიკაცია", ასევე სამაგისტრო საფეხურზე შექმნა სილაბუსი კურსისა „ქართული და ინგლისური ლექსიკოგრაფიის ისტორია". მარიამ ქებურიამ ასევე აღნიშნა, რომ ყველა კურსი ინგლისურ ენაზე ისწავლება.

გასაუბრებისას **მარი ხუხუნაიშვილმა** საუნივერსიტეტო ცხოვრების სპეციფიკიდან გამომდინარე, ისაუბრა თავისი სამეცნიერო ინტერესების სფეროზე და მომავალ გეგმებზე. კომისიის წევრებმა კითხვები დაუსვეს კონკურსანტს და მოისმინეს ვრცელი პასუხები, რომლებიც ეხებოდა მის მიერ განხორციელებულ კვლევას და 2023 წლის დეკემბერში დაცულ დისერტაციას თემზე ,,არათავაზიანობისა და იდენტობის თავისებურებები ოჯახის დისკურსის ჟანრში (ქართული და ამერიკული სერიალების მაგალითზე)". კონკურსანტმა აღნიშნა, რომ აქვს სურვილი გააგრძელოს მუშაობა იმავე მიმართულებით და შეისწავლოს არათავაზიანობისა და იდენტობის თავისებურებები სხვადასხვა კულტურის მაგალითზე. აღნიშნული კვლევები ასახვას ჰპოვებს მის სამეცნიერო ნაშრომებსა და მოხსენებებში. კონკურსანტმა მიმოიხილა მის მიერ

შემოთავაზებულ კურსებიც, რომელთა სილაბუსები არ იქნა წარმოდგენილი. გასაუბრებისას დადასტურდა, რომ მარი ხუხუნაიშვილს აქვს სურვილი წაიკითხოს სამი თეორიული კურსი: "ინგლისური ენის სტილისტიკა", "სემიოტიკის თეორიები", "სამეცნიერო ნაშრომის მომზადებისა და თარგმანის პრინციპები". თუმცა, არ ეწევა აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას და არა აქვს სამეცნიერო ნაშრომების თარგმნის გამოცდილება (რამდენიმე წლის წინ თარგმნიდა მხოლოდ იურიდიული დოკუმენტებისა და ტექსტებს). ამასთანავე, გასაუბრებისას დადასტურდა, რომ **მარი ხუხუნაიშვილი** არ გასცნობია მის მიერ შემოთავაზებული აკადემიური კურსების არსებულ სილაბუსებს და, შესაბამისად, მათში ასახულ მასალას.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ **მარიამ ქებურიას** კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან. ამასთანავე, დადასტურდა, რომ **მარი ხუხუნაიშვილის** კანდიდატურა არ არის სრულ შესაბამისობაში გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი **მარიამ ქებურიას** კანდიდატურას. კომისიის წევრებმა (0 მომხრე, 5 მოწინააღმდეგე) არ დაუჭირეს მხარი **მარი ხუხუნაიშვილის** კანდიდატურას.

კომისიამ შეაფასა ორივე პრეტენდენის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. ამასთანავე, გაითვალისწინა, რომ მარიამ ქებურია ასწავლის როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ კურსებს (4 კურსი), ხოლო მარი ხუხუნაიშვილს აქვს მხოლოდ პრაქტიკული კურსების სწავლების გამოცდილება, რაც არ მოდის შესაბამისობაში ვაკანსიის პროფილთან. ამასთანავე, მარიამ ქებურია კარგად იცნობს და ასწავლის მის მიერ შემოთავაზებულ კურსებს, ასევე, მან თავად შექმნა 3 კურსი, რომლებიც დღეს ისწავლება თსუ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. მეორე მხრივ, მარი ხუხუნაიშვილი არ გასცნობია მის მიერ შემოთავაზებული თეორიული კურსების არსებულ სილაბუსებს და თავადაც არ წარმოუდგენია შესაბამისი სილაბუსები. მარიამ ქებურიას გამოქვეყნებული აქვს 7 სამეცნიერო ნაშრომი (4 - იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში), მარი ხუხუნაიშვილის აქვს 3 სტატია (2 - იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში). მარიამ ქებურია, როგორც

მკვლევარი, ჩართულია მოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორ გრანტში, მარი ხუხუნაიშვილის არა აქვს მოპოვებული გრანტები. მარიამ ქებურია ხელმძღვანელობს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას ლექსიკოგრაფიულ საქმიანობაში და არის სტუდენტთა სტატიების ხელმძღვანელი. ასევე, გასაუბრებაზე აღნიშნა, რომ იგი იყო მაგისტრანტის ხელმძღვანელიც. მარი ხუხუნაიშვილს არა აქვს მსგავსი აქტივობები. ამასთანავე, მარიამ ქებურიასგან განსხვავებით, იგი არ არის რომელიმე ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ერთხმად დაადგინეს:

1. ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ინგლისური ენის კათედრის (ინგლისური ენა) ასისტენტ პროფესორის 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **მარიამ ქებურია;**
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს დასამტკიცებლად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე:		მ. რუსიეშვილი
მოადგილე:		რ. დოლიძე
წევრები:		ნ. ნემსაძე
		მ. დარასელია
კომისიის მდივანი:		ი. გველესიანი

თარიღი: 29 თებერვალი, 2024